ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N5

09.01.2026 წელი **ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**

13:00 საათი **დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი**

მიმდინარე წლის 9 იანვარს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **შალვა სუთიაშვილი** (კომისიის თავმჯდომარე), **დავით ხაზეიშვილი** (კომისიის წევრი), **ვაჟა კოკაია** (კომისიის წევრი), **შალვა მაისურაძე** (კომისიის წევრი), **დავით ჭელიძე** (კომისიის წევრი), **შალვა პერანიძე** (კომისიის წევრი) და **დავით ფანჯაკიძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომა წარიმართა **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების და სარევიზიო კომისიებთან** ერთად.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი წერილი #12-032600828-03, 08.01.2026წ.);
   მომხსენებელი – გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შემავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისშივე ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გამო, რომელიც 2026 წელსაც მუნიციპალიტეტს დაევალა. ვინაიდან მთავრობის განკარგულება 2025 წლის 30 დეკემბერს გამოიცა ვერ მოესწრო აღნიშნული ცვლილების ასახვა დედაქალაქის 2026 წლის ბიუჯეტში. მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთი ხელმეკრულება გახლავთ გარდამავალი რაიონული გამგეობების მიერ სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. იანვრის თვეში უნდა შევისყიდოთ ტრანსპორტით მომსახურებაც, ასევე დასაფარი გვაქვს დეკემბრის ხარჯის გარკვეული ნაწილი, რის გამოც მოგვიხდა სასწრაფო წესით ბიუჯეტის ცვლილება. ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ცვლილებით 12 000,0 ათასი ლარი ემატება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, ეს თანხები ძირითადად ტენდერების გამოცხადებისთვისაა საჭირო, რადგან ზოგიერთი პროექტი ვერ დაელოდება თებერვლის თვეში ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთის სრულად ასახვას. მთლიანობაში 2026 წლის ბიუჯეტი იზრდება 17 169,5 ათასი ლარით და შეადგენს 2 210 558,2 ათას ლარს. აქედან 5 170,6 ათასი ლარი გათვალისწინებულია სწორედ თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, რაც რაიონების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: გლდანის რაიონი - 392,2 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონი - 141,6 ათასი ლარი, დიდუბის რაიონი - 992,9 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონი - 173,8 ათასი ლარი, ვაკის რაიონი - 95,4 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონი - 112,6 ათასი ლარი, ისნის რაიონი - 86,4 ათასი ლარი, სამგორის რაიონი - 455,5 ათასი ლარი, კრწანისის რაიონი - 164,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონი - 99,4 ათასი ლარი, ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე გამოყოფილია - 2 347,0 ათასი ლარი, რაც ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ნაწილში ჩაჯდება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - შალვა სუთიაშვილი, დავით ხაბეიშვილი, ვაჟა კოკაია, შალვა მაისურაძე, დავით ჭელიძე, შალვა პერანიძე - (6),

თავი შეიკავა - დავით ფანჯაკიძე - (1),

წინააღმდეგი - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა სუთიაშვილი